



EDUCATIONAL PROGRAM

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ოქმი № 9, „21“ „აგვისტო“, 2017 წელი

სამსახურის უფროსი

დიანა მჭედლიშვილი, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 24, „23“ „აგვისტო“, 2017 წელი

ფაკულტეტის დეკანი

რამაზან აქბაში, დოქტორი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი №9, „24“ „აგვისტო“, 2017 წელი

რექტორი

ილიას ჩილოღლუ, პროფესორი, დოქტორი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა

თბილისი

2017 წელი



EDUCATIONAL PROGRAM

მიმართულება:: 07 სოციალური მეცნიერებები

დარგი / სპეციალზა: 0705 საერთაშორისო ურთიერთობები

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (International Relations and Politics)

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ): ივანა მაჩიტძე, ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი, ტელ: +995 32 259 50 05/06/07 (შიდა ნომერი 121), ელ-ფოსტა: imachitidze@ibs.edu.ge

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში
Master of Social Sciences in International Relations

კვალიფიკაციის კოდი: 0705

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომლებიც შემდგენაირად არის განაწილებული:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 50 კრედიტი;



EDUCATIONAL PROGRAM

- სპეციალობის არჩევითი კურსები - 40;
- სამაგისტრო თეზისი - 30 კრედიტი.

არჩევითი 40 კრედიტიდან სტუდენტებს უფლება ეძლევათ, გამოიყენონ 8 კრედიტი თავისუფალი კრედიტების სახით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება, გახდეს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობის საგანსა და ინგლისურ ენაში (B2 დონე):
 - ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება არის სპეციალობის გამოცდაზე დაშვების წინაპირობა. ინგლისური ენის გამოცდაში აპლიკანტმა შეიძლება მიიღოს ჩათვლა (აპლიკანტი აკმაყოფილებს B2 დონეს) ან ჩაჭრა (აპლიკანტი არ აკმაყოფილებს B2 დონეს).
 - იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ინგლისური ენის გამოცდაში მიიღებს ჩათვლას (დადებით შეფასებას) მას მოეთხოვება სპეციალობის გამოცდის ჩაბარებაც, რომელიც შეფასდება 100 ქულიდან. თუ აპლიკანტი სპეციალობის გამოცდაში ვერ დააგროვებს მინიმუმ 61 ქულას 100-დან, ის გამოეთიშება კონკურსს (კონკურსიდან შეირჩევა საუკეთესო 20 აპლიკანტი).
 - ინგლისური ენის გამოცდიდან თავისუფლებიან ის პირები, ვინც ფლობენ ბაკალავრის ხარისხს ინგლისურ ენაზე სწავლების საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ან რომლებსაც აქვთ ინგლისური ენის B2 ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT, IELTS and FCE).

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მეცნიერული კვლევების ჩატარებას საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამას აქვს სამი ამოცანა. პირველი, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და ისტორიის სიღრმისეული ცოდნა, მათ შორის, დარგის ისეთი საკვანძო საკითხებზე ყურადღების გამახვილებით, როგორცაა ომი, მშვიდობა, უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა და ა.შ. მეორე ამოცანა გულისხმობს სტუდენტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების დარგში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებმა შეიძინონ და/ან განივითარონ უნარები, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის



EDUCATIONAL PROGRAM

მეთოდებში, ამასთან, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს, გაიაზრონ და გააცნობიერონ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ფილოსოფია, რაც ხდება სტუდენტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების ეპისტემოლოგიისა და ონტოლოგიის საკითხების შესახებ თანამედროვე დებატების სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფით. და ბოლოს, მესამე ამოცანა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ, ერთი მხრივ, სრულყოფილად შეისწავლონ საქართველოს თანამედროვე საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი ისტორიული განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფლად მოახერხონ საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე ქვე-დარგზე სპეციალიზაცია არჩევითი კურსების ფართო სპექტრის საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსები საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ქვე-დარგებს ფარავს, მათ შორის, ევროპული პოლიტიკა, პოლიტიკური თეორია, საერთაშორისო სამართალი, ენერგოუსაფრთხოება, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა.

პროგრამის ამოცანები შესაძლებელს ხდის, რომ მომზადდეს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რაც სრულ თანხვედრაშია შხსუ-ის მისიასთან. პროგრამის მიზანია, გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა ან/და მათი კონკურენტუნარიანობა სადოქტორო დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და</p>	<p>სტუდენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სიღრმისეული ცოდნას, მათ შორის, როგორც კლასიკური სკოლების, ისე თანამედროვე ტენდენციებისა და პარადიგმების შესახებ; ✓ ფლობს სრულყოფილ ცოდნას თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესების შესახებ; ✓ ფლობს კრიტიკულ ცოდნას ისტორიოგრაფიისა და ისტორიციზმის როლის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის, გაგების პროცესში;
-------------------------------------	--	---



EDUCATIONAL PROGRAM

	<p>ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს სრულყოფილ ცოდნას ომის თეორიის, მისი მიზეზების, თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებისა და სხვა საკითხების შესახებ; ✓ სრულყოფილად იცნობს საქართველოს საგარეო პოლიტიკას, მის ოფიციალურ პრიორიტეტებსა და გამოწვევებს; ✓ აცნობიერებს საერთაშორისო სისტემის გავლენას პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და პირიქით; ✓ სრულყოფილად აცნობიერებს სოციალური მეცნიერებების ფილოსოფიის წინააღმდეგობრივ საკითხებს; ✓ ნათლად აცნობიერებს სოციალური მეცნიერებების კვლევაში მიზეზ-შედეგობრივი ახსნის ალტერნატივების, ინტერპრეტაციული და სხვა მიდგომების მნიშვნელობას; ✓ ფლობს სრულყოფილ ცოდნას თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების, მათი თავისებურებების, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ; ✓ სრულყოფილად იცნობს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის უმნიშვნელოვანეს მეთოდებს, შერჩევის სტრატეგიებსა და მონაცემთა ანალიზის ტექნიკებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში</p>	<p>სტუდენტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ეძიოს და იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზები, მათ შორის, ემპირიულ მონაცემებთან შესაბამისი თეორიული მიდგომების დაკავშირების მეშვეობით; ✓ მოამზადოს აკადემიური ნაშრომები საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე წარსადგენად; ✓ მოამზადოს პოლიტიკის ნარკვევები შესაბამისი რეკომენდაციებით საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ; ✓ დამოუკიდებლად მოამზადოს კვლევითი პროექტი საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ შესაბამისი თეორიული ახსნისა თუ ინტერპრეტაციის, მონაცემების



EDUCATIONAL PROGRAM

		<p>შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით და წარადგინოს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გამოიყენოს ფილოსოფიური პარადიგმები და კონცეპტები საკუთარ კვლევით პროექტში; ✓ მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორი ანალიტიკური ჩარჩო გამოიყენოს კონკრეტულ კვლევით პროექტში იქნება ეს მიზეზ-შედეგობრივი ახსნა-განმარტება, ინტერპრეტაცია, სტრუქტურული თუ ფუნქციონალური ახსნა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გააანალიზოს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები ისევე როგორც საფრთხეები მშვიდობისა და სტაბილურობისთვის როგორც კონკრეტულ რეგიონში, ისე მთლიანად საერთაშორისო სისტემაში; ✓ კრიტიკულად გააანალიზოს საკვანძო მოვლენები საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და მოახდინოს მათი კონტექსტუალიზაცია; ✓ წაიკითხოს, გაიგოს და ინტერპრეტაცია გაუკეთოს აკადემიურ ტექსტებს, რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას და ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით; ✓ სათანადო თეორიული პერსპექტივიდან კრიტიკულად გააანალიზოს და სინთეზირება გაუკეთოს თეორიულ და ემპირიულ მონაცემებს, მათ შორის, კვლევის მონაცემებს, არასრული ინფორმაციის ალტერნატიული ინტერპრეტაციების იდენტიფიცირების მეშვეობით; ✓ მოახდინოს პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და სწორად შეაფასოს, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ ქცევაზე; ✓ კრიტიკულად შეაფასოს სოციალური კვლევა ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით; ✓ კრიტიკულად შეაფასოს კვლევითი ნაშრომის ხარისხი ავტორის ფილოსოფიური პოზიციისა და ნაშრომში გამოყენებული



EDUCATIONAL PROGRAM

		<p>ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გაიაზროს და კრიტიკულად შეაფასოს ემპირიული სოციალური კვლევის შედეგები.
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ იქონიოს ნათელი, ლაკონური და პროფესიული კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებთან და პრაქტიკოსებთან, გარკვევით ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების დროს საკუთარი შეფასებების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების გათვალისწინებით; ✓ გამოიყენოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, იმუშავოს ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან; ✓ მოახდინოს კომპლექსური ინფორმაციისა და ორიგინალური ანალიზის პრეზენტაცია როგორც ზეპირად, ისე წერილობით; ✓ წარმოადგინოს კვლევის შედეგები აკადემიური წერის სტანდარტებთან შესაბამისად.
სწავლის უნარი	<p>შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი კვლევის ინტერესები და პრიორიტეტები კონკრეტულ თეორიულ სკოლებს შორის; ✓ განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება საქართველოში და/ან საზღვარგარეთ; ✓ მოახდინოს იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც აკადემიურ დისციპლინაში არასაკმარისად არის ახსნილი/გაგებული და განსაზღვროს შემდგომი კვლევის საჭიროება.
ღირებულებები	<p>შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გააცნობიეროს მორალური დილემები საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც აკადემიურ დისციპლინაში და როგორც პოლიტიკის სფეროში



EDUCATIONAL PROGRAM

	<p>დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</p>	<p>და ჩამოყალიბოს საკუთარი ეთიკური ფასეულობები დარგის თანამედროვე ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისად;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ჩამოყალიბოს ნორმატიული ხედვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქცეოდეს და არ უნდა იქცეოდეს კონკრეტული საერთაშორისო აქტორი; ✓ ნათლად გაიაზროს ომის საკითხების ნორმატიული წინააღმდეგობები; ✓ გააცნობიეროს მიუკერძოებელი მიდგომის მნიშვნელობა კონფლიქტების ანალიზის დროს მაშინაც კი, თუ კი სტუდენტი რამენაირად დაკავშირებულია კონფლიქტის რომელიმე მხარესთან; ✓ იყოს ტოლერანტული აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას; ✓ გააცნობიეროს კვლევის დროს ეთიკური საკითხებისა და ზოგადად, ეთიკური კვლევების მნიშვნელობა; ✓ გააცნობიეროს მორალური დილემები, რომელსაც სოციალური მკვლევარი აწყდება საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს; ✓ დარჩეს ერთგული პრინციპისა, რომ მკვლევარმა უნდა იმოქმედოს საკუთარი კვლევის მონაწილეების ინტერესებიდან გამომდინარე მაშინაც კი, თუ ეს წინააღმდეგობაში მოდის დამსაქმებლის ან კვლევის დამკვეთის ინტერესებთან.
--	---	--



EDUCATIONAL PROGRAM

სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I. სავალდებულო კომპონენტი						
დიპლომატიის ისტორია	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის თეორია	X	X	X	X	X	X
ომი და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობებში	X	X	X	X	X	X
თვისებრივი კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	X	X	X	X	X	X
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
II. არჩევითი კომპონენტი						
ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში	X	X	X	X	X	X



EDUCATIONAL PROGRAM

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი	X	X	X	X	X	X
ტერორიზმის კვლევები	X	X	X	X	X	X
კავკასია/შავი ზღვის რეგიონი და რეგიონული უსაფრთხოება	X	X	X	X	X	-
ენერგეტიკული პოლიტიკა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში	X	X	X	X	X	-
უსაფრთხოებისა და რეგიონული კონფლიქტების პრობლემები	X	X	X	X	X	-
საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო უსაფრთხოება	X	X	X	X	X	-
აშშ-ის საგარეო პოლიტიკა 1900 წლიდან დღემდე	X	X	X	X	X	X
ტრანზიცია პოსტ-კომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომია	X	X	X	X	-	-
უსაფრთხოების ახალი გამოწვევები	X	X	X	X	X	-
პოლიტიკის თეორია	X	X	X	X	X	X
მსოფლიო პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
შედარებითი მმართველობა და პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
III. სავალდებულო კვლევითი კომპონენტი						
სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X



EDUCATIONAL PROGRAM

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლისა და სწავლების მეთოდების ფორმატი მოიცავს ლექციებს, სემინარებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამუშაოებს, პრაქტიკულ აქტივობებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებსა და სხვა.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები:

<p>ლექცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტაცია • დემონსტრირება • ინდუქცია • დედუქცია • ანალიზი • სინთეზი • შემთხვევების შესწავლა • ელექტრონული რესურსით სწავლება
<p>სამუშაო ჯგუფში მუშაობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • დისკუსია/დებატები • პრეზენტაცია • წიგნზე მუშაობა • დემონსტრირება • გონებრივი იერიში • შემთხვევების შესწავლა • სიმულაცია • როლური და სიტუაციური თამაშები • პროექტი • ინდუქცია • დედუქცია • ანალიზი • სინთეზი • ელექტრონული რესურსით სწავლება
<p>პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • დემონსტრირება • ამოცანების ამოხსნა • პრობლემების გადაჭრა



EDUCATIONAL PROGRAM

	<ul style="list-style-type: none"> • ჯგუფური მუშაობა • ინდივიდუალური მუშაობა • წიგნზე მუშაობა • ინდუქცია • ანალიზი • სინთეზი • ელექტრონული რესურსით სწავლება
სემინარი	<ul style="list-style-type: none"> • პრეზენტაცია • დისკუსია/დებატები • გონებრივი იერიში • ინდუქცია • დედუქცია • ანალიზი • სინთეზი • ელექტრონული რესურსით სწავლება
დამოუკიდებელი მუშაობა	<ul style="list-style-type: none"> • წიგნზე მუშაობა • ინდუქცია • დედუქცია • ანალიზი • სინთეზი • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება • შემთხვევების შესწავლა • პრეზენტაციის მომზადება • პროექტის მომზადება • საშიანო დავალების შესრულება • ელექტრონული რესურსით სწავლება

- კონკრეტული შემთხვევის შესწავლა - ლექტორი და სტუდენტები ერთად განიხილავენ კონკრეტულ შემთხვევებს და ცდილობენ აღნიშნული შემთხვევის მრავალმხრივ გაანალიზებას.



EDUCATIONAL PROGRAM

- **მოქმედებაზე დაფუძნებული სწავლა** - ლექტორი და სტუდენტები ირჩევენ საკვანძო სიტყვებს და სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ ლიტერატურა და დაწერონ ესეები მოცემულ საკვანძო სიტყვებზე. ლექტორი გააანალიზებს ესეებს და სტუდენტებს აძლევს რჩევებს, თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ საკუთარი ნაწერი.
- **კონტინუუმი** - კონტინუუმი არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს, გამოხატონ თავიანთი პოზიციები სადავო საკითხებთან დაკავშირებით. ეს ძალზე სასარგებლოა მაგისტრანტების ცოდნის შეფასებისათვის ლექციამდე ან ლექციის შემდეგ იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად იქნა გაგებული ახალი მასალა. რადგანაც მეთოდი მოიცავს სტუდენტების ფიზიკურ მოქმედებას და შესაბამისად პასიურ სტუდენტებსაც კი წახალისებს გულახდილი ლაპარაკისთვის.
- **როლური თამაში** - სპონტანური, კრეატიული და რეალურთან მიახლოებული სწავლების სტრატეგია, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი აიძულებს მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის/აქტორის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისხმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. სტუდენტებისთვის უჩვეულო როლში ყოფნა მათ აძლევთ საშუალებას სიტუაცია დაინახონ განსხვავებული პერსპექტივიდან. როლური თამაში საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის.
- **ლექციის მეთოდი** - ლექცია წარმოადგენს ლექტორის მიერ ინფორმაციის ვერბალურ პრეზენტაციას. ეს მეთოდი ეფუძნება ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს პრინციპებს, კონცეფციებს, იდეებს და სრულ თეორიულ ცოდნას საკითხის შესახებ. ლექციის მსვლელობისას ლექტორი ხსნის, განმარტავს და აღწერს ყველა იმ საჭირო მასალას, რაც აუცილებელია მსმენელმა იცოდეს. ლექტორი არის აქტიური მოსაუბრე, ხოლო სტუდენტები პასიურ როლს ირგებენ და ისმენენ. მიუხედავად ლექციების პოპულარობისა, სტუდენტების პასიური ჩართულობა ზღუდავს ამ მეთოდის გამოყენების სარგებლიანობას. იგი გამოიყენება სტუდენტისათვის ახალი ინფორმაციის ორგანიზებულად წარმოსადგენად. იმისთვის, რომ სწავლება ეფექტური იყოს, აღნიშნულ მეთოდთან ერთად გამოყენებული უნდა იქნას დისკუსიები და კითხვა-პასუხის დრო, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ჩაერთონ აქტივობაში.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით.



EDUCATIONAL PROGRAM

- დემონსტრირების მეთოდი** - ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)** - გულისხმობს სიტუაციის/განსახილველი საკითხის შესაბამისად სხვადასხვა მეთოდის შერწყმას, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.



EDUCATIONAL PROGRAM

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.



EDUCATIONAL PROGRAM

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) (91% და მეტი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) (81-90%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) (71-80%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) (61-70%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) (51-60%) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) (41-50%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) (40% და ნაკლები) -შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება ერთი სემესტრის განმავლობაში გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე თემაზე ნაშრომის წარდგენის უფლებას.



EDUCATIONAL PROGRAM

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ორი ტიპის სამაგისტრო ნაშრომს: 1) ნაშრომი, რომელიც ეფუძნება პირველად წყაროებს (სტუდენტი ატარებს საველე სამუშაოებს); 2) ნაშრომი, რომელიც ეფუძნება მეორეულ წყაროებს (სტუდენტი არ ატარებს საველე სამუშაოებს).

1) საველე სამუშაოებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

1.1. საველე სამუშაოებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი შეფასების რუბრიკა:

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	კომპონენტის წონა საბოლოო შეფასებაში
სათაური და თემატიკა	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - სათაური სრულად გადმოცემს ნაშრომის თემატიკას საკვანძო სიტყვების მეშვეობით, ნაშრომის თემატიკა მნიშვნელოვან თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შესაწვლისა და განვითარებისათვის; • 4-3 - სათაური ნათლად გადმოცემს ნაშრომის თემატიკას, ნაშრომის თემატიკა დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება; • 2-1 - სათაური არასრულად გადმოსცემს ნაშრომის თემატიკას, რომელიც დარგის კარგად გააზრებულ და ნაკვლევ საკითხებს ეხება; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	5 ქულა
საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა ან კვლევის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • 15-13 ქულა – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ნათლად არის ჩამოყალიბებული; ნათლად იკვეთება ცვლადები, საკვლევი ობიექტები დაკონკრეტებულია; • 12-10 – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა შეიმჩნევა მცირეოდენი ხარვეზები; ცვლადები არ არის სრულყოფილად გამოკვეთილი, საკვლევი ობიექტები დაკონკრეტებულია; • 9-5 – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ბუნდოვანია; ცვლადები ნათლად არ იკვეთება, საკვლევი ობიექტები დაკონკრეტებული არ არის; • 4-1 – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ნაშრომში არ იკვეთება, ცვლადები არ ჩანს და საკვლევი ობიექტებიც არ არის დაკონკრეტებული; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	15 ქულა



EDUCATIONAL PROGRAM

<p>ლიტერატურის მიმოხილვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • 20-19 ქულა - ნაშრომში გამოყენებულია სათანადო აკადემიური ლიტერატურა, ავტორი სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს მოცემული თემატიკის შესახებ და კრიტიკულად ანალიზებს გამოყენებულ მასალებს; • 18-17 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო ლიტერატურა, ავტორი თითქმის სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს მოცემული თემატიკის შესახებ და გამოირჩევა კრიტიკული ანალიზით; • 16-14 – ნაშრომში გამოყენებულია როგორც აკადემიური, ისე სხვა სახის ლიტერატურა, რაც ლიტერატურის მიმოხილვისთვის ნაკლებად რელევანტურია, ავტორი ავლენს აკადემიური დებატების კარგ ცოდნას, კრიტიკული ანალიზი დასახვეწია; • 13-11 – ნაშრომში გამოყენებულია აკადემიური ლიტერატურა, მაგრამ ამავდროულად გვხვდება არაკადემიური ტექსტები, რაც ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნას სუსტად ავლენს, კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება ხარვეზები; • 10-8 – ნაშრომი დიდწილად არაკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, თუმცა გვხვდება აკადემიური ტექსტებიც, აკადემიური დებატების ცოდნა არ ვლინდება ავტორის მიერ, ლიტერატურა უბრალოდ შეჯამებულია და არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი; • 7-5 – ნაშრომი მთლიანად არაკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, რაც ვერ ავლენს ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნის ხარისხს, კრიტიკული ანალიზი არ გვხვდება; • 4-1 – ნაშრომში გამოყენებულია ნაკლებად სანდო ლიტერატურა, ავტორი ვერ ავლენს აკადემიური დებატების ცოდნას, ნაშრომი მხოლოდ გამოყენებული მასალების შეჯამებას წარმოადგენს; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	<p>20 ქულა</p>
<p>მეთოდოლოგია</p>	<ul style="list-style-type: none"> • 25-23 ქულა - ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არის განმარტებული და არ ბადებს შეკითხვებს; • 22-20 – ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არ არის განმარტებული და ბადებს შეკითხვებს; • 19-17 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არ არის განმარტებული და ბადებს შეკითხვებს; • 16-13 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არ არის განმარტებული და ბადებს შეკითხვებს; 	<p>25 ქულა</p>



EDUCATIONAL PROGRAM

	<ul style="list-style-type: none"> • 12-9 – ნაშრომში გამოყენებულია არასათანადო კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მთი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები არ არის განმარტებული; • 8-5 – ნაშრომში არ იკვეთება მონაცემთა შეგროვების რა მეთოდები გამოიყენა ავტორმა, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები არ არის განმარტებული; • 4-1 – ნაშრომი თითქმის არ იყენებს კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს მონაცემთა შეგროვებისა და მათი ანალიზისთვის; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	
<p>მონაცემთა ანალიზი / არგუმენტაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • 25-23 ქულა - მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, ავტორი კრიტიკულად აანალიზებს წყაროებს და იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად; • 22-20 – მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება ხარვეზები, ავტორი მცირედენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად; • 19-17 – მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები, ავტორი მცირედენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად; • 16-13 – მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები; • 12-9 – მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თითქმის არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები; • 8-5 – მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები; • 4-1 – მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირება; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	<p>25 ქულა</p>



EDUCATIONAL PROGRAM

დასკვნა	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - ავტორი ეფექტურად და ლაკონურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს და ნათლად წარმოაჩენს ნაშრომის ორიგინალობასა და მის კონტრიბუციას დარგის განვითარებაში; • 4-3 – ავტორი ეფექტურად და ლაკონურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს, თუმცა ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია; • 2-1 – ავტორი ეფექტურად და ლაკონურად ვერ აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს, ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	5 ქულა
სტილი	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით, ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად გამართულია, თითქმის არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები; • 4-3 – ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით, ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად თითქმის სრულად გამართულია, გვხვდება გრამატიკული შეცდომები; • 2-1 – ნაშრომი არ არის შესრულებული აკადემიური წერის პრინციპების დაცვით, სტრუქტურა და სტილი გაუმართავია, შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომების სიჭარბე; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	5 ქულა

1.2. საველე სამუშაოებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასების რუბრიკა:

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	კომპონენტის წონა საბოლოო შეფასებაში
სათაური და თემატიკა	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - სათაური სრულად გადმოცემს ნაშრომის თემატიკას საკვანძო სიტყვების მეშვეობით, ნაშრომის თემატიკა მნიშვნელოვან თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შესაწვლისა და განვითარებისათვის; • 4-3 - სათაური ნათლად გადმოცემს ნაშრომის თემატიკას, ნაშრომის თემატიკა დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება; 	5 ქულა



EDUCATIONAL PROGRAM

	<ul style="list-style-type: none"> • 2-1 - სათაური არასრულად გადმოსცემს ნაშრომის თემატიკას, რომელიც დარგის კარგად გააზრებულ და ნაკვლევ საკითხებს ეხება; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	
საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა ან კვლევის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • 10-9 ქულა – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ნათლად არის ჩამოყალიბებული; ნათლად იკვეთება ცვლადები, საკვლევი ობიექტები დაკონკრეტებულია; • 8-7 – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა შეიმჩნევა მცირეოდენი ხარვეზები; ცვლადები არ არის სრულყოფილად გამოკვეთილი, საკვლევი ობიექტები დაკონკრეტებულია; • 6-4 – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ბუნდოვანია; ცვლადები ნათლად არ იკვეთება, საკვლევი ობიექტები დაკონკრეტებული არ არის; • 3-1 – კვლევის მიზანი/კითხვა და ჰიპოთეზა ნაშრომში არ იკვეთება, ცვლადები არ ჩანს და საკვლევი ობიექტებიც არ არის დაკონკრეტებული; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	10 ქულა
ლიტერატურის მიმოხილვა	<ul style="list-style-type: none"> • 15-14 ქულა - ნაშრომში გამოყენებულია სათანადო აკადემიური ლიტერატურა, ავტორი სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს მოცემული თემატიკის შესახებ და კრიტიკულად ანალიზებს გამოყენებულ მასალებს; • 13-12 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო ლიტერატურა, ავტორი თითქმის სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს მოცემული თემატიკის შესახებ და გამოირჩევა კრიტიკული ანალიზით; • 11-10 – ნაშრომში გამოყენებულია როგორც აკადემიური, ისე სხვა სახის ლიტერატურა, რაც ლიტერატურის მიმოხილვისთვის ნაკლებად რელევანტურია, ავტორი ავლენს აკადემიური დებატების კარგ ცოდნას, კრიტიკული ანალიზი დასახვეწია; • 9-8 – ნაშრომში გამოყენებულია აკადემიური ლიტერატურა, მაგრამ ამავედროულად გვხვდება არაკადემიური ტექსტები, რაც ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნას სუსტად ავლენს, კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება ხარვეზები; • 7-6 – ნაშრომი დიდწილად არაკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, თუმცა გვხვდება აკადემიური ტექსტებიც, აკადემიური დებატების ცოდნა არ ვლინდება ავტორის მიერ, ლიტერატურა უბრალოდ შეჯამებულია და არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი; • 5-4 – ნაშრომი მთლიანად არაკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, რაც ვერ ავლენს ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნის ხარისხს, კრიტიკული ანალიზი არ გვხვდება; • 3-1 – ნაშრომში გამოყენებულია ნაკლებად სანდო ლიტერატურა, ავტორი ვერ ავლენს აკადემიური დებატების ცოდნას, ნაშრომი მხოლოდ გამოყენებული მასალების შეჯამებას წარმოადგენს; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	15 ქულა
მეთოდოლოგია	<ul style="list-style-type: none"> • 20-19 ქულა - ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების 	20 ქულა



EDUCATIONAL PROGRAM

	<p>დადებითი და უარყოფითი მხარეები, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არის განმარტებული და არ ბადებს შეკითხვებს;</p> <ul style="list-style-type: none"> • 18-17 – ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არ არის განმარტებული და ბადებს შეკითხვებს; • 16-15 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არ არის განმარტებული და ბადებს შეკითხვებს; • 14-11 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები სრულად არ არის განმარტებული და ბადებს შეკითხვებს; • 10-7 – ნაშრომში გამოყენებულია არასათანადო კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები არ არის განმარტებული; • 6-4 – ნაშრომში არ იკვეთება მონაცემთა შეგროვების რა მეთოდები გამოიყენა ავტორმა, მონაცემთა ანალიზის ტექნიკები არ არის განმარტებული; • 3-1 – ნაშრომი თითქმის არ იყენებს კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს მონაცემთა შეგროვებისა და მათი ანალიზისთვის; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	
<p>მონაცემთა ანალიზი / არგუმენტაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • 20-19 ქულა - მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, ავტორი კრიტიკულად აანალიზებს წყაროებს და იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად; • 18-17 – მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება ხარვეზები, ავტორი მცირეოდენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად; • 16-15 – მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები, ავტორი მცირეოდენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად; • 14-11 – მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება 	<p>20 ქულა</p>



EDUCATIONAL PROGRAM

	<p>მნიშვნელოვანი ხარვეზები, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები;</p> <ul style="list-style-type: none"> • 10-7 – მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თითქმის არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები; • 6-4 – მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები; • 3-1 – მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირება; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	
დასკვნა	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - ავტორი ეფექტურად და ლაკონურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს და ნათლად წარმოაჩენს ნაშრომის ორიგინალობასა და მის კონტრიბუციას დარგის განვითარებაში; • 4-3 – ავტორი ეფექტურად და ლაკონურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს, თუმცა ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია; • 2-1 – ავტორი ეფექტურად და ლაკონურად ვერ აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს, ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	5 ქულა
სტილი	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით, ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად გამართულია, თითქმის არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები; • 4-3 – ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით, ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად თითქმის სრულად გამართულია, გვხვდება გრამატიკული შეცდომები; • 2-1 – ნაშრომი არ არის შესრულებული აკადემიური წერის პრინციპების დაცვით, სტრუქტურა და სტილი გაუმართავია, შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომების სიჭარბე; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	5 ქულა
მეტყველება და აუდიტორიასთან კონტაქტი	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - დოქტორანტი საუბრობს ნათლად და გასაგებად, ავლენს თავდაჯერებულობას და ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს; • 4-3 - დოქტორანტი საუბრობს კონკრეტულად და არ იყენებს ბუნდოვან მტკიცებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კონტაქტს, თუმცა შეიმჩნევა თავდაჯერებულობის ნაკლებობა; 	5 ქულა



EDUCATIONAL PROGRAM

	<ul style="list-style-type: none"> • 2-1 - დოქტორანტი ხშირად აკეთებს ხანგრძლივ პაუზებს, იმეორებს წინადადებებს და იშვიათად ცდილობს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	
შეკითხვებზე პასუხი	<ul style="list-style-type: none"> • 15-13 ქულა - სტუდენტი ამომწურავად სცემს პასუხს ყველა დასმულ შეკითხვას და ავლენს საკითხის სრულყოფილ ცოდნას; • 12-10 – სტუდენტი ამომწურავად სცემს პასუხს დასმული შეკითხვების უმრავლესობას და ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას; • 9-6 – სტუდენტი არასრულად სცემს პასუხს დასმული შეკითხვების უმრავლესობას ან მხოლოდ შეკითხვების ნაწილს სცემს ამომწურავ პასუხს და ავლენს საკითხის დამაკმაყოფილებელ დონეზე ცოდნას; • 5-1 – სტუდენტი არასრულად სცემს პასუხს თითქმის ყველა შეკითხვას ან მხოლოდ შეკითხვების ნაწილზე ახერხებს პასუხის გაცემას და ავლენს საკითხის არადამაკმაყოფილებელ დონეზე ცოდნას; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	15 ქულა

2) მეორეულ წყაროებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

2.1. მეორეულ წყაროებზე დაფუძნებული სამაგისტრო ნაშრომის წერილობითი შეფასების რუბრიკა:

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	კომპონენტის წონა საბოლოო შეფასებაში
სათაური და თემატიკა	<ul style="list-style-type: none"> • 5 ქულა - სათაური სრულად გადმოცემს ნაშრომის თემატიკას საკვანძო სიტყვების მეშვეობით, ნაშრომის თემატიკა მნიშვნელოვან თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შესაწვლისა და განვითარებისათვის; • 4-3 - სათაური ნათლად გადმოცემს ნაშრომის თემატიკას, ნაშრომის თემატიკა დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება; • 2-1 - სათაური არასრულად გადმოსცემს ნაშრომის თემატიკას, რომელიც დარგის კარგად გააზრებულ და ნაკვლევ საკითხებს ეხება; • 0 - დავალება არ შესრულდა. 	5 ქულა



EDUCATIONAL PROGRAM

